

კერამიკული ნაწარმის სპეციალისტი 080365
პროფესიული სტანდარტი

1. სფეროს აღწერა

კერამიკული ნაწარმი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ერთერთი ტრადიციული (ხალხური და პროფესიონალური) დარგის მთავარი შემადგენელი ელემენტია.

II. დასაქმების სფერო.

კურსდამთავრებული შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ შეეძლება დასაქმდეს, როგორც კერამიკოს-შემსრულებელი კერძო ან სახელმწიფო საწარმოში, სადიზაინო ან მხატვრულ სახელოსნოში/სტუდიაში, შეუძლია საკუთარ დამოუკიდებელ სახელოსნო-საამქროში თვითდასაქმება.

III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია.

კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის პროფესიული განათლება არის ხუთსაფეხურიანი. თითოეულ საფეხურზე შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 15 კრედიტს. აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 15 კრედიტს. აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 30 კრედიტს. აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

IV. დამატებითი მოთხოვნები

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟი.

V. კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის პირველი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>აქვს კერამიკულ საწარმოში ნაკეთობის დამზადების საფუძვლების ზოგადი ცოდნა. გაცნობიერებული აქვს საწარმოო პროცესებში თავისი კვალიფიკაციის შესატყვისი - მარტივი ამოცანების შესრულების, დამხმარე და მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების, შრომის უსაფრთხოების საკითხების ცოდნის მნიშვნელობა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სტრუქტურირებულ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები, ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.</p>	<p>შეუძლია კერამიკულ საწარმოსა ან სტუდიურ გარემოში მოსამზადებელ სამუშაო პროცესებში მონაწილეობისას (თიხის დამზადება, თაბაშირის ხსნარის მომზადება, პროდუქციის გაწმენდა, საყალიბე მოდელის დასხმა, გამოსაწვავ ღუმელში პროდუქციის ჩალაგება, ინსტრუმენტების გასუფთავება, სამუშაო ადგილების წესრიგში მოყვანა და სხვ.) უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ დამხმარე, მარტივი და ტიპიური დავალებების შესრულება. აგრეთვე, კერამიკული ნაწარმის წარმოებისთვის აუცილებელი ნედლი მასალების დასაწყობება-შენახვა, მითითებული წესების დაცვით.</p>

დასკვნის უნარი	შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა.	შეუძლია კერამიკულ წარმოებაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე მარტივი ხასიათის პრობლემის ამოცნობა სხვადასხვა საქმიანობაში: ნედლი მასალის და წინასწარ დაფასოვებული შემფერავების სისტემურად დასაწყობება განსაზღვრული წესების დაცვით, დასამუშავებელი მასალის დათქმული ოდენობის და დანადგარის მოცულობის შესატყვისობით, გამოსაწვავ ლუმელში პროდუქციის მითითებული განლაგების თანმიმდევრობის დაცვა და სხვა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ასევე უცხოურ ენას საბაზო დონეზე.	შეუძლია საწარმოში თავისი მოვალეობისა და კომპეტენციის საზღვრებში ხელმძღვანელთან და კოლეგებთან თავისი საქმიანობის შესახებ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მარტივ საკითხებზე. პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება უცხო ენაზე.
სწავლის უნარი	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა.	შეუძლია ხელმძღვანელის ზედამხედველობით და მის მიერ მითითებული ლიტერატურის მეშვეობით სწავლა, შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით განსაზღვროს შემდგომი სწავლის აუცილებლობა ან მომიჯნავე დარგის დაუფლება.
ღირებულებები	იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს.	გაცნობიერებული აქვს შრომის უსაფრთხოების საკითხების ცოდნის მნიშვნელობა. იცის კოლეგებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკური ნორმები და მოქმედებს მათ შესატყვისად.

კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მეორე საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ძირითადი ამოცანების შესასრულებლად	აქვს ფაქტობრივი ცოდნა კერამიკულ წარმოებაში გამოყენებადი საბაზისო მასალების პროფილური გამოყენების შესახებ, იცნობს მათი დამზადების ძირითად ტექნიკას და ხერხებს.
------------------------------	--	---

	აუცილებელ ნაბიჯებს	გააჩნია ზოგადი ცოდნა კერამიკულ საწარმოში პროდუქციის დამზადების ძირითადი მიმართულებების შესახებ. აქვს წარმოებაში ჩამოსხმის წესით კერამიკული ნაკეთობის დამზადების ცოდნა. აცნობიერებს თავისი კომპეტენციის ფარგლებს კერამიკის წარმოებაში. იცნობს შრომის უსაფრთხოების წესებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები, ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით.	შეუძლია კერამიკული საწარმოს/სტუდიის პირობებში, ხელმძღვანელის დავალებით და მისი მეთვალყურეობის ქვეშ შეასრულოს ნედლი მასალის დამუშავება წარმოებისათვის გამოსადეგ კონდიციამდე (თიხის ცომის, შლიკერის, საშამოთე მასის მომზადება კომპონენტების მითითებული პროპორციის დაცვით, თაბაშირის შესაბამისი ხსნარის დამზადება, მოჭიქურების მარტივი - ამოვლების ხერხით და სხვ.) შეუძლია ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ არსებულ სიბრტყეობრივ და დაბალრე-ლიეფიან მოდელებზე მარტივი ერთნაჭრიანი ყალიბის დასხმა, მარტივი ნაკეთობის ამოწმების წესით დაყალიბება, არსებულ სადა ყალიბში მოცულობითი ნაკეთობის შლიკერით ჩამოსხმის წესით დაყალიბება, მისი სველი და მშრალი გასუფთავება, იცნობს ნაკეთობის პირველადი გამოწვის პრინციპებს ელექტრო ღუმელში.
დასკვნის უნარი	შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ინფორმაცია და ავლენს შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი დასკვნის გარკვეული დამოუკიდებლობით გაკეთების უნარს.	შეუძლია საწარმოში/სტუდიაში კვალიფიკაციის შესაბამისი დავალების შესრულებისას ხელმძღვანელისგან მიღებული ინსტრუქციის/მითითების საფუძველზე ამოიციოს პრობლემა და გადაჭრას იგი, (მასალის დამზადების ქრონოლოგია, დასამზადებელი მასალის კონდიციის დადგენა, ნაწარმის ყალიბში განპირობებული დაყოვნების დროის განსაზღვრა, ადექვატური ტენიანობის განსაზღვრა ჩაწმენის მეთოდის გამოყენებისას და სხვ.), გააკეთოს აუცილებელი დასკვნები შემდგომში დავალების უშეცდომოდ შესრულების მიზნით.

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით. შეუძლია ელემენტარული დონის კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.	შეუძლია ზეპირი და წერილობით კომუნიკაცია თავისი შრომითი აქტივობის ფარგლებში, უშუალო ხელმძღვანელთან და წარმოების სხვა მომსახურე პერსონალთან. აუცილებლობის შემთხვევაში მარტივი პრობლემების დაფიქსირება, მისი წარმომქმნელი მიზეზისა და გადაჭრის შესახებ საკუთარი აზრის ზეპირი ან წერილობითი წარდგენა. შეუძლია უცხო ენაზე ელემენტარული დონის კომუნიკაცია შრომით საქმიანობასთან დაკავშირებით, საბაზო სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენებით. შეუძლია გამოიყენოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მისი საქმიანობის შესატყვის დონეზე (შეადგინოს საკუთარი სამუშაო გრაფიკი, დავალებათა შესრულების გეგმა, მოახდინოს ინფორმაციის ფიქსირება, მაგ. დასამზადებელი კაზმის მითითებული/ სტანდარტული პროპორციის შესახებ და სხვ).
სწავლის უნარი	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით.	შეუძლია მითითებული წყაროს მიხედვით ინფორმაციის მოპოვება ცოდნის შემდგომი გაღრმავების მიზნით. აცნობიერებს სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობას/აუცილებლობას სხვისი რჩევისა და საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე.
ღირებულებები	გათავისებული აქვს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად.	შესაბამის კომპეტენციის საზღვრებში იცავს პროფესიულ წესებს და პროცედურებს, იცნობს შრომის უსაფრთხოების წესებს, იცავს მათ. იცის კოლეგებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკური ნორმები და მოქმედებს მათ შესატყვისად.

კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა,	აქვს კერამიკის წარმოების სტრუქტურის ზოგადი ცოდნა. ამ სისტემაში სამეთუნეო სეგმენტის ადგილის, მისი მნიშვნელობისა და ხასიათის, სამეთუნეო საქმიანობისთვის დამახასიათებელი
------------------------------	--	---

	აცნობიერებს გართულელებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს	პრინციპების და პროცესების, კერამიკული ნაკეთობის ტრადიციული, სამეთუნეო საბაზისო ხერხების გამოყენების, სამეთუნეო მასალის მომზადების, საწარმოო სიმძლავრის, სამფაზიანი კერამიკული ღუმელის მომსახურება/გამოყენების თეორიული და პრაქტიკული საბაზისო ცოდნა. იცნობს და იცავს შრომის უსაფრთხოების წესებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.	შეუძლია სამეთუნეო საქმიანობისთვის სამუშაო ადგილის მომზადება- ორგანიზება, საჭირო ინსტრუმენტების და დანადგარების მოვლა_გამოყენება, მათ შორის სამეთუნეო ჩარხის. შეუძლია სხვის მიერ შემუშავებულ პროექტზე/ესკიზზე დაყრდნობით ან/და პროექტის ავტორთან კოოპერირების საფუძველზე, სამეთუნეო ჩარხზე დაამზადოს სადა და საშუალო სირთულის კერამიკული ნაკეთობა, შეასრულოს მეორადი დამუშავება - ჩარხვა, გაამზადოს და დაამაგროს ჭურჭლის შემადგენელი მარტივი სირთულის ელემენტები. შეუძლია პროდუქციის მართებული შრობის პროცესის შემდეგ მისი საბოლოო გასუფთავება, პირველადი და მეორადი ტიპიური გამოწვის ჩატარება დაბალტემპერატურაზე რეჟიმში.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	შეუძლია მშუშაობის პროცესის სხვადასხვა ფაზაში ტექნიკური სირთულებების სწორი აღქმა, იქნება ეს დაკავშირებული აღჭურვილობის მოწესრიგებასთან, თავად ნაწარმის დამზადების მეთოდებთან თუ მასალის დამზადების შესატყვის ხარისხიანობასთან. შეუძლია ინფორმაციის მითითებულ ან ცნობილ წყაროებზე დაყრდნობით პრობლემათა გადაჭრის სამუშაო მეთოდების სრულყოფა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ	შეუძლია მოცემული ამოცანის შესრულებასთან დაკავშირებით, პროექტის ხელმძღვანელთან, კოლეგებთან კონკრეტულ

	საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	პრობლემაზე პროფესიული მსჯელობა, საკუთარი მოსაზრების მართებულად და არგუმენტირებულად ჩამოყალიბება, საჭიროების შემთხვევაში მითითებული და დამოუკიდებლად მოპოვებული (მათ შორის ინტერნეტი) ტექნიკური ლიტერატურის მონაცემებზე დაყრდნობით. მასალის დამზადების პროცესში შეუძლია თავისზე დაბალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალისათვის მართებული მითითებების და რჩევის მიცემა. როგორც შემსრულებელს შეუძლია დამკვეთთან/ავტორთან აწარმოოს კვალიფიკაციის შესაბამისი კომუნიკაცია, მათ შორის ერთ-ერთ უცხო ენაზე.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია საკუთარი პროფესიული აქტივობის ფარგლებში გაითავისოს და გაიღრმავოს ცოდნა, მოიძიოს ამისათვის დამხმარე მასალა, ხელმძღვანელთან კონსულტაციის საფუძველზე დაგეგმოს შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელება.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	გაცნობიერებული აქვს თავისი პროფესიის ამქრული მორალის, პროფესიული ღირსების მდიდარი, ღრმა ტრადიციები და ეთიკური პრინციპები. სამუშაო პროცესში ყურადღებით იცავს უსაფრთხოების წესებს, ტექნიკა-დანადგარების მომსახურების პროცედურებს, (ამოწმებს და დაუყოვნებლივ აცნობებს ხელმძღვანელს დანადგარის ხარვეზის შესახებ. არ ასრულებს სამუშაოს გაუმართავ მოწყობილობაზე). მკაცრად იცავს სამუშაოს შესრულების დაგეგმილ ვადებს, იცავს კოლეგებთან და დამკვეთებთან ურთიერთობის დადგენილ ნორმებს.

კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძველებზე დამყარებული	იცნობს საწარმოში თავისი პროფესიული სეგმენტის, კერამიკული ნაწარმის სამოდულო და სადამყალიბებლო საქმიანობის ზოგად
------------------------------	--	--

	<p>ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>სისტემურ მოწყობას. აქვს სხვის მიერ შემუშავებული პროექტის/ნახაზის მიხედვით კერამიკული ნაწარმის სამუშაო მოდელის შესრულების პრაქტიკული და თანმდევი თეორიული ცოდნა. აგრეთვე, საჩარხი დაზვის ტექნიკური მომსახურების, მოდელის გაჩარხვის, რთული ყალიბის ადების, ყალიბების ე/წ კაპების მეშვეობით გამრავლების, ხარისხიანი შლიკერის დამზადების ხერხების და დამზადებულ ყალიბში კერამიკული ნაწარმის დაყალიბების სხვადასხვა პრაქტიკული და თეორიული ხერხების ცოდნა. იცის ამ პროცესისთვის საჭირო ინსტრუმენტების და დანადგარების გამოყენება-მომსახურება, საწარმოო ელექტრო-ღუმელში პროდუქციის სტანდარტული გამოწვა. იცნობს და ასრულებს შრომის უსაფრთხოების წესებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია არსებული/წარმოდგენილი იზომეტრიული, აქსონომეტრიული და მუშა ნახაზების სწორად/მართებულად აღქმა, მათი მიხედვით მოდელის დამზადების მეთოდური პროცესების ქრონოლოგიური გეგმის შემუშავება, ამ გეგმის პრაქტიკული განხორციელება — პროექტიდან “უტილის” კონდიციის მქონე პროდუქციამდე. შეუძლია ყალიბის სეგმენტების რაციონალური რაოდენობის, სახარჯი მასალის ოდენობის დადგენა და სხვ. სპეციალური ლიტერატურის დახმარებით ამ პროცესების შესწავლის გაღრმავება. შეუძლია სამუშაო ეტაპის ან სრული ციკლის დასრულების შემდეგ შედეგის შეფასება/გაანალიზება, შემდგომში დროის და რესურსების/მასალის რაციონალური ხარჯვისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების მიზნით.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული</p>	<p>შეუძლია საწარმოში/სტუდიაში სამუშაო პროცესში საკუთარ სეგმენტში წარმოქმნილი ხარვეზების სწორი აღქმა. უშუალო ხელმძღვანელთან ან პროექტის ავტორთან თანამშრომლობით, შეუძლია შეიტანოს ტექნიკური კორექცია და ცვლილებები</p>

	შედეგის ანალიზი.	განსახორციელებელი პროექტის ტექნიკურ ელემენტებში კერამიკული ნაწარმის დამზადების პროცესისთვის მეტი ტექნოლოგიურობის შექმნის მიზნით, პროექტის გაცნობისას წინასწარ გაანალიზოს და გამოავლინოს შესაძლო ტექნიკური სირთულეები, მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისას მიუთითოს დამხმარე პერსონალს შესაძლო შეცდომებზე და აუცილებლობის შემთხვევაში დაეხმაროს სიტუაციის გამოსწორებაში.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია საწარმოში/სტუდიაში უშუალო ხელმძღვანელთან ან პროექტის ავტორთან, კოლეგებთან პროფესიის კონკრეტულ პრობლემაზე პროფესიული მსჯელობა, საკუთარი მოსაზრების მართებულად და არგუმენტირებულად ჩამოყალიბება, მათ შორის სხვათა მითითებით და დამოუკიდებლად მოპოვებული ტექნიკური ლიტერატურისა და ციფრულ საინფორმაციო საშუალებათა მონაცემებზე დაყრდნობით. შეუძლია პროდუქციის წარმოების პროცესში, საკუთარ პროფესიულ სეგმენტში, თავისზე დაბალი კვალიფიკაციის პერსონალისთვის მართებული მითითებების და პროფესიული რჩევის მიცემა. როგორც შემსრულებელს, შეუძლია დამკვეთთან/ავტორთან აწარმოოს კვალიფიკაციის შესაბამისი კომუნიკაცია, მათ შორის ერთ-ერთ უცხოურ ენაზე.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.	შეუძლია თავისი პრიფესიული სწავლისა და ზოგადი განათლების შემდგომი დაგეგმვა, ახალი ცოდნის მიღება, სამომავლო კარიერისთვის აუცილებელი საჭირო სწავლის მახასიათებლების განსაზღვრა.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ	სამუშაო პროცესში ყურადღებით იცავს უსაფრთხოების წესებს, ტექნიკა-დანადგარების მომსახურების პროცედურებს, ამოწმებს და

	<p>ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>დაუყენებლივ აცნობებს ხელმძღვანელს დანადგარის ფუნქციონირების ხარვეზის შესახებ. არ ასრულებს სამუშაოს გაუმართავ მოწყობილობაზე. იცავს კოლეგებთან ურთიერთობის მიღებულ ნორმებს, იცნობს და იცავს როგორც თავისი პროფესიის ამქრული ეთიკის და მორალის, პროფესიული ღირსების ტრადიციებს, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის აღიარებულ ეთიკურ ნორმებს.</p>
--	--	---

კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>იცის კერამიკულ წარმოებაში თავისი პროფესიული სეგმენტის, კერამიკული ნაწარმის დეკორირების სფეროს სისტემური მოწყობა. აქვს განსხვავებული მასალებისგან (თიხა, შამოთი, ქაშანური, ფაიფური) წინასწარ დამზადებული კერამიკული ნაწარმის დეკორირების მეთოდების ფართო სპექტრის პრაქტიკული ცოდნა, ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური სპეციფიურობიდან გამომდინარე აქვს დასამუშავებელი ობიექტის იდენტიფიცირების და ჩასატარებელი პროცესების ქრონოლოგიური დაგეგმვის თეორიული ცოდნა. აქვს კერამიკული საღებავების, შემფერავების ტექნოლოგიის ზოგადი, სტანდარტული ფერიტი პალიტრის დამზადების პრაქტიკული ცოდნა. იცის ლაბორატორიული და საწარმოო ღუმელის პრაქტიკული გამოყენება. იცის და ასრულებს შრომის უსაფრთხოების წესებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად</p>	<p>შეუძლია არსებული დავალებიდან გამომდინარე შეასრულოს კერამიკული ნაწარმის დეკორირება ფართო სპექტრის მეთოდებით და საშუალებებით (ნედლი ზედაპირის დეკორირებით, ანგობირებით, მოჭიქურებით, ჭიქურქვედა და ჭიქურზედა</p>

	გადასაწყვეტად.	<p>საღებავებით და სხვ). შეუძლია გაითვალისწინოს დასამუშავებელი ობიექტის ფუნქციონალური დანიშნულება (სანიტარული, უტილიტარული, დეკორატიული, საექსტერიერო სალანდშაფტე და სხვ.) და ავტორთან ერთად შეუსატყვისოს გამოყენებადი ხერხების/მასალების ვარიაციები მათი სტანდარტებისა და თვისებებიდან გამომდინარე (მექანიკური სიმტკიცე და თერმული მდგრადობა, ტოქსიურობის ხარისხი და სხვ.). მოახდინოს ამ კატეგორიების თანხმიერებაში მოყვანა პროექტის ამოცანით განსაზღვრულ ან/და პროექტის ავტორის მიერ ჩაფიქრებულ დეკორატიულ გამომსახველობასთან.</p> <p>შეუძლია დეკორირების მეთოდების შემოქმედებითად კომბინირება დასახული ამოცანის გადასაჭრელად, პროექტის/ესკიზის სპეციფიურობიდან გამომდინარე.</p> <p>შეუძლია თავისი პროფესიული კვალიფიკაციის ფარგლებში დამხმარე პერსონალს გაუწიოს კონსულტაცია ასისტირების პროცესში (პიგმენტებით საღებავის დამზადება, საცდელი ნიმუშების და პალიტრის მომზადება და სხვ).</p>
დასკვნის უნარი	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია პროექტით დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლო ტექნიკური ან სხვა სპეციფიური პრობლემების წინასწარ ამოცნობა, მიზეზის დადგენა, პროექტის ხელმძღვანელთან/ავტორთან ან დამკვეთთან დასაბუთებული დასკვნის წარდგენა. შეუძლია პრობლემის გადაჭრის მიზნით პროფესიული წინადადების შეთავაზება, მის არსენალში არსებული დეკორირების სტანდარტული ან ორიგინალური მეთოდების გამოყენებით.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და</p>	<p>შეუძლია შესასრულებელი ამოცანის, პროექტის/ ესკიზის არსის მართებული აღქმა, პროფესიული მსჯელობა დასმული ამოცანის გარშემო, ამოცანის ზუსტად გადაწყვეტის მიზნით პროექტის</p>

	<p>არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>ავტორთან/ხელმძღვანელთან, კოლეგებთან, დამკვეთთან, როგორც პროფესიულ ასევე ადაპტირებულ ენაზე დეტალური დიალოგის წარმართვა. საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მოცემული დავალების შესრულების მეთოდის შესახებ საკუთარი ხედვის შეთავაზება, პოზიციის ლაკონურად დასაბუთება, საჭიროების შემთხვევაში მოძიებულ მეთოდურ ანალოგებსა და პრაქტიკულ პრეცედენტებზე დაყრდნობით. შესრულებული სამუშაოს აღწერა-ანგარიშის წარმოდგენა წერილობით, მათ შორის უცხო ენაზე. შეუძლია კომპეტენციის ფარგლებში გაუწიოს კონსულტირება თავისზე დაბალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალს.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია კერამიკის დეკორირების ფართო სპექტრის შესახებ დამატებითი, ახალი ცოდნის მიღება, შეძენილი ცოდნის პრაქტიკული აპრობირება დამოუკიდებლად პრაქტიკული, ლაბორატორიული მეთოდებით. შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს შემდეგ საფეხურზე სწავლის აქტუალობა, სხვისი დახმარებით დაგეგმოს კარიერიერის სამომავლო განვითარება.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს.</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების პასუხისმგებლობას პროფესიული საქმიანობის ყველა წესის და პროცედურის დაცვის მიმართ. სამუშაო პროცესში ყურადღებით იცავს უსაფრთხოების წესებს. იცის და სრული პასუხისმგებლობით ეპყრობა გარემოცვისთვისა და მზა ნაწარმის მომხმარებლისთვის შესაძლო ზიანის მომტანი მასალების/ქიმიკატების გამოყენების სპეციფიკას, ამ ცოდნას უზიარებს სხვებს. პროფესიული სეგმენტის სპეციფიურობიდან გამომდინარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და პატივს სცემს შემოქმედებით თანამშრომლობის პრინციპებს, პროექტის ავტორთან ან ხელმძღვანელთან კოოპერირების პროცესში მუდმივად ზრუნავს ყოველი ახალი, რთული პროექტის შესატყვისი საშემსრულებლო/</p>

		<p>პროფესიული უნარების გამომუშავება-დახვეწაზე. იცავს როგორც თავისი პროფესიის ეთიკის და მორალის, პროფესიული ღირსების ტრადიციებს, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის აღიარებულ ეთიკურ ნორმებს, უზიარებს მათ თავის კოლეგებს.</p>
--	--	--